


საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი; გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 8 თებერვალი 15 1898 წ. № 8

შინაარსი: ბატონი ევანგულოვი ნ. ყორდანიასი.—სხვა-და-სხვა ამბავი.—წერილი ქუთაისიდან.—კვირიდან კვირამდე.—ქრონიკა (ევროპა).—ყარსის რკინის გზიდან ვალენტინისა.— რა მოუვა სოსიკას (შემდეგი).—უცხო სიტყვების ახსნა.—თეატრის და კერძო განცხადება.

რედაქციის ადრესი: არწრუნერის ქუჩა კადეტის კორპუსის გვერდით სახლი თამამშოვისა.

ცალკე ნომერი ღირს 15 კ.

**თამარ დედოფლის** დიდი სურათი (ფერადი წამლებით) დღეის იქით გაიყიდება „კვალის“ რედაქციაში 1 მ. 50 კ. (გასაგზავნი ფოსტის ხარჯი 30 კ.)

## ბატონი ევანგულოვი.

ამ თვის ცხრას ბ. გ. ევანგულოვმა ქალაქის გამგეობაში ფიცი მიიღო და თფილისის თავობა ჩაიბარა.

ვინ არის ეს ახლათ მოვლენილი ქალაქის თავი? ვინ არის ბ. ევანგულოვი?

ბ. ევანგულოვი მარტო, თავის თავათ, დიდს არაფერს წარმოადგენს. ის, როგორც ყველა, არის შვილი თავისი მშობლების, წევრი თავისი ერის, ბატონი თავისი ხელ-ქვეითების, მონა თავისი უფროსების და ასე ბოლომდის. ცხადია, ის არაფრით არ განირჩევა დანარჩენ მომაკვდავისაგან და ამ ორი-სამი თვის წინეთ მისი არსებობა არც კი იპყრობდა ვისიმე ყურადღებას. სუფევს სადმე ევანგულოვი? აკეთებს რასმე? აბა, ეს კითხვები ვის მოუვიდოდა თავში თუ არ მის მეგობარ-ნათესავებს. ახლა? ახლა კი შეიცვალა გარემოება. ბ. ევანგულოვი რალაცათ გადაიქცა, ერთ საკითხავ საგნათ გახდა და, ასე გაშინჯეთ, „კვალის“ ფურცლებზედაც კი გამოიჭიმა! ის რალაც მანქანებით ქვედა საფეხურიდან ზედაზე ამოხტა და თავის ტოლ-ამხანაგთ კისერზე წამოესკუპა: მე აქ ყოფნა მარგუნა ბედმაო. გუშინ უბრალო თფილისელი დღეს თფილისის მეთაური შეიქნა, გუშინ უბრალო მოქალაქე, დღეს მოქალაქეთა წინამძღოლათ გადაიქცა. ბ. ევანგულოვი, სამოურავო ტახტზე ასული, ქვეშევრდომთ აუწყებს: მე განვაგებდე თქვენ საქმეებს და თქვენ მმორჩილებდეთო, და ჩვენ, როგორც მისი ქვეშევრდომი, მოვალე ვართ განვიკითხოთ ამ ახალი ბატონის მობრძანება, შევიტყოთ მისი განზრახულება და გავითვალისწინოთ მისი სავალი გზა. ვინ მოავლინა ბ. ევანგულოვი? რა მოუტანა მან თფილისს, ან რის მოტანა შეუძლია? რით გაახარა მოქალაქენი, ან რით გახარება შეუძლია? ვისი მოციქულია, ვისი მედროშეა?

ეს უნდა აგვიხსნას ბ. ევანგულოვმა, მარა არა როგორც ერთმა პირმა, განკერძოებულ არსებამ, განთვითვებულ ადამიანმა. არა, ბ. ევანგულოვი რამდენათ მხოლოთ ევანგულოვია, იმდენათ ის არავის-

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკ.

თვის საინტერესო არ არის და არც ჩვენ განხილვაში შედის. პირ-იქით, ის ჩვენთვის იმდენათ საყურადღებოა, რამდენათ ის ევანგულოვი არ არის, ე. ი. რამდენათ მასში იშლება მისი კერძო პიროვნება და მის ალაგას სხვების პიროვნება დგება. ბ. ევანგულოვი, აი, ამ პირების კრებულია, თუ შეიძლება ასე ითქვას და მეტი არაფერი. ვინ არიან ეს უკანასკნელნი? ეს გახლავთ საბჭოს ხმოსნები. მაშასადამე ბ. ევანგულოვი, აი, ამ კრებულის განხორციელებული მატარებელია, მისი სურვილების გამომხატველია, მისი ინტერესების დამცველია. ერთი სიტყვით ბ. ევანგულოვი უდრის საბჭოს და საბჭო — ბ. ევანგულოვს. მათ შორის შეიძლება თანასწორობის (=) ნიშანი დაისვას. რა განწყობილებაა მათ შორის? ძალიან ახირებული, ბ. ევანგულოვმა საბჭოს საშუალებით მოიპოვა ძალა და გავლენა, ის აქ აღმოცენდა და აქედან ხარობს. მეორე მხრით საბჭომ ბ. ევანგულოვის საშუალებით მოიპოვა თავის კანონიერი გამოხატულობა, მან მასში ააგო თავისი სიმაგრე და თავისი ბარგი-ბარხანით აქ დაბინავდა. საბჭო ბ. ევანგულოვის გზა და ხიდია, ევანგულოვი საბჭოს იარაღი და ყურმოჭრილი მონაა. ის ასრულებს იმას, რაც საბჭომ დააბარა, რის ვექილობაც მისცა და იარსებებს იმდენ ხანს, რამდენ ხანსაც ამ ნაბრძანებს გულ-მოდგინეთ შეასრულებს. ბ. ევანგულოვი, აი, ამ საბჭოს მიერ წარმოგზავნილი მოციქულია ხალხის მოსაქცევათ და მოსარჯულებლათ. მას ხელთ მისცეს დროშა ქალაქში ასაფრიალებლათ და მის სათაყვანოთ ხალხის მოსაწვევათ.

რა დროშაა ეს? რა წერია ზედ? ამის გასაგებათ საჭიროა ვიცოდეთ თვით ამ დროშის ამფრიალებელთა ვინაობა. ესენი გახლავთ ხმოსანთა ის კრებული, რომელიც გასულ წელს 500 — 600 მოქალაქეთა მიერ იქმნა არჩეული დ ქალაქის მამებათ მონათლული. ხოლო ეს ხუთას-ექვსასი შეიცავს თფილისის უმდიდრეს და უმაღლეს ნაწილს, მაშასადამე მთელ ქალაქს, თავის 160 ათასი მცხოვრებით, აი ეს ერთი მუჭა პლუტოკრატი პატრონობს და ოთხმოცამდი გამგეთ უყენებს. ამათში ზოგს შუბლზე აწერია ქარხანა, ზოგს დუქანი, ერთს—ბანკი, მეორეს—კარაბადინი, მესამეს—რედაქცია და სულ ასეთი ნაირ-ნაირი განცხადების მატარებლები არიან. მარა, სამაგიეროთ, ყველას თავიდან ბოლომდი დიდი ასოებით აბეჭდია: ფული. აშკარაა ეს ბატონები სხვა-და-სხვა სახით გამოჩენებულნი ერთ და იმავე მიზანს ელტვიან, ერთ და იმავე კერპს ემსახურებიან, ერთი და იმავე მამონის წინაშე იდრეკენ მუხლს, მათი დროშა—ეს ფულის დროშაა, მათი სატროფიალო საგანი გამდიდრებაა. მაშასადამე ბ. ევანგულოვი აი ამ ფულის მაძიებელთა წარმომადგენელია, მისი დროშა კაპიტალის დროშაა. მარა არის ფული და ფულიც, როგორც il-yza fagôt et fagôt. ის ხუთასიოდე ამომრჩეველი ერთნაირ შეძლების დ მდგომარეობის ხალხს არ შეიცავს. ერთი ნაწილი დიდი კაპიტალის პატრონია, მეორე პატარასი, თანახმათ ამისა შედგა ორი პარტია: ერთ მხარეზე დადგენ დიდი კაპიტალისტები, „დვორცოვია ნომრების" პარტიათ წოდებული, ხოლო მეორეზე — წვრილი კაპიტალისტები, წოდებული ოპოზიციათ, ახალ-გაზდებათ და სხ. პირველ და მეორე პარტიას შორის, როგორც ხედავთ, განსხვავება მხოლოთ რაოდენობაშია, ერთი მილიონობით ატრიალებს, მეორე ათასობით, პირველის ეკონომიური სახელია კაზაიანი en gros, მეორის კი კაზაიანი en petit. მორჩა და გათავდა. და აი ამ ორ პარტიას შორის ატეხილი დავიდარაბა ყოველთვის პირველის გამარჯვებით თავდება ხოლმე. ხმოსანთა უმრავლესობაც მათი წარმომადგენელია. ბ. ევანგულოვიც აი ამ უმრავლესობის არჩეულია. მაშასადამე ის დიდ კაპიტალისტთა მებაირაღეა, ის მათი ინტერესების და ბატონობის დამცველია.

ამ ნაირათ კითხვაზე — ვინ არის ბ. ევანგულოვი? — ჩვენ სანახევროთ უკვე გვაქვს პასუხი, ის არის თფილისის დიდ კაპიტალისტთა წარმომადგენელი, მაღალი ბურჟუაზიის მონა-მორჩილი. ცხადია, მისი მოურაობის ტახტზე ასვლა კაპიტალიზმის ტახტზე ასვლა და გაბატონებაა. თფილისის კაპიტალიზმმა ბ. ევანგულოვში მოიპოვა ახალი ძალ-ღონე; ბ. ევანგულოვი ამ კაპიტალიზმის მატარებელია. მარა თფილისის კაპიტალი მოგროვილია არა მარტო თფილისში, არამედ მთელ საქართველოში, მთელ კავკასიაში, მაშასადამე ბ. ევანგულოვში პირველათ იშოვა კავკასიის კაპიტალმა თავისი ოფიციალური გამოხატულება, მან ახლა მიიღო საჭირო სანკცია. დროშა მის მიერ აფრიალებული არის კავკასიის კაპიტალიზმის დროშა.

ყოველივე ეს, როგორც ზევით ვთქვით, არის მხოლოთ პასუხის ერთი ნახევარი. ბ. ევანგულოვი ამით კიდევ არ არის სავსებით დახასიათებული, მასთან ახლავს ერთი რამ, რაც მისი მოღვაწეობის მეორე მხარეს შეადგენს და რის გამორკვევა საჭიროა.

კაპიტალს სხვა მრავალ თვისებათა შორის ერთი ახირებული თვისებაც სჭირს, მას საშინლათ უყვარს ის ხალხი, რომელსაც ის ბრძანებლობს, ეტრფის იმ ქვეყანას, სადაც ის ბუნავობს და ძლიერობს. ერთი სიტყვით ის პატრიოტდება, სამშობლო, ხალხი, ერი — სულ პირზე აკერია. მარა საკვირველი ის არის, რომ მის ასეთ „პატრიოტულ მოღვაწეობაში" თითონ მუდამ იზრდება და სქელდება, ხოლო ხალხი მუდამ ძირს ეშვება და ღარიბდება, და ეს ხდება სამ-

შობლოს სახელით. ცხადია, კაპიტალისტის სამშობლო—გამორჩენის სამშობლოა, მისი პატრიოტობა—ქისის პატრიოტობაა. სანამ ამას ხალხი გაიგებდეს კაი ხანი გადის, ხოლო მანამდის კი ქისას თავისუფლათ ისქელებს და ისქელებს.

ჩვენებური კაზაიანებიც ამ გამდიდრების კანონს ექვემდებარებიან და რასაკვირველია კიდევაც პატრიოტობენ. მარა აქაც გარჩევაა, წვრილი კაზაიანის პატრიოტობა ცოტა „მოიპროგრესისტობს“, ხოლო სხვილის „მოიკონსერვატორობს“. პირველი ვითომ სხვა ერის კაცსაც უწვდის ხელს ერთათ ვიმოქმედოთო, ვინაიდან სუსტი ყოველთვის ამხანაგს ეძებს; მეორე კი ასეთ ამხანაგებში არ საჭიროებს. მას შეგნებული აქვს თავისი ძალ-ღონე და გვერდზე წამოწოლილი „მე ვარ და ჩემი ნაბადის“ კილოზე დამღერის. ამ ჯგუფის კაპიტალისტები ყველაზე უფრო ყვლეფვენ ხალხს და ყველაზე უფრო მაღლა გაჰყვირიან—სამშობლო გვიყვარსო. ესენი ბუკ ნაღარას ცემენ და მთელ თავის თანა მემამულეთ იწვევენ ვითომ უცხო ტომის აკლების წინაამდეგ. ესენი თესვენ შურს და განხეთქილებას ხალხთა შორის, რომ მათ კაპიტალისტიურ მოქმედებას ნაკლები წინაამდეგობა დახვდეს. მათი ინტერესია დაქსაქსულ მუშა-ხალხთან ჰქონდეთ საქმე და ამიტომ მათ შორის შუღლს და მტრობას აგდებენ. და აი სწორეთ ასეთ პოლიტიკას ადგია ის პარტია, რომელიც დღეს ბატონობს საბჭოში და რომელმაც ბ. ევანგულოვი მოავლინა. მაშასადამე ბ. ევანგულოვში განხორციელებულია ის ვიწრო ნაციონალური მიდრეკილებანი, რითაც ასე განთქმულია საბჭო. ის არის კაპიტალისტი à la ალიხანოვი და ნაციონალისტი à la იონესიანი. ის დაყრდნობილია ამ ორ ბოძზე, ეს შეიცავს მის ორ ფეხს, რომლის საშუალებით ქალაქის სათავეში აცოცდა და თან აიტანა პლუტოკრატთა უფროსობა და მჟავე პატრიოტთა დევნა-გოდება.

ამ გვარათ თფილისის საბჭოს ლოღიკური დასკვნა ბ. ევანგულოვია, ამ ერთ პირში თავი მოიყარა ხმოსანთა უმრავლესობამ, ის, ასე ვთქვათ, ერთი დიდი სარკეა, რომელშიაც ნათლათ ჩანს საბჭო მთელი თავისი ავლა-დიდებით. მოშალეთ ეს საბჭო და მოიშლება ევანგულოვიც, მოშალეთ ევანგულოვი და ამით სრულიად არ მოიშლება საბჭო, ის თავის გულიდან ისვრის მრავალ ევანგულოვებს. ცხადია, ბ. ევანგულოვი საბჭოს გარეგანი დაშვენებაა, დეკორაციაა, და მეტი არაფერი. ის განცხადებაა, რეკლამაა, რის საშუალებით აქ პლუტოკრატები სახელს იკეთებენ, გავლენას პოულობენ და ზურგს იმაგრებენ.

იმ დღიდან, რა დღესაც ბ. ევანგულოვმა ქალაქის მოურავობა ჩაიბარა, თვითმართველობის სახურავზე აიმართა უჩინარი ბაირაღი, რომლის ორ გვერდზე შემდეგი ორი პწკარია მოქარგული:

სხვილი კაპიტალიზმი,
ვიწრო ნაციონალიზმი.

ნ. ჟორდანია.

## სხვა-და-სხვა ამბავი.

აზრათა აქვთ ადმინისტრატიული წესით გაასახლონ ხოლმე სამშობლოდან სამუდამოთ ანუ დროებით ყველა ის პირნი, ვიზედაც კი ეჭვს შეიტანენ, რომ ყაჩაღებს იფარავენ.

—

კავკასიის მთავარ-მართებელს ნება დაურთავს, რომ ავჭალის სახალხო საკითხავების სადგომში ადგილობრივ ენებზეც იმართებოდეს წარმოდგენები, იმ პირობით კი, რომ წარმოსადგენათ დანიშნულ პიესების სია წინდაწინვე წარუდგინონ ხოლმე განსახილველათ.

—

უფასო სახალხო კითხვა, რომელიც ავლაბარში იმართებოდა ხოლმე რუსულ ენაზე და შემდეგ ითარგმნებოდა სომხურათ, უკვე შეწყვეტილ იქნა 8 თებერვალს.

—

ბაქოდან იუწყებიან—ახალი პოლიცმეისტერის დანიშვნის გამო—რომ იქ სამართალშია მიცემული 15 პოლიციელი; ამ რიცხვიდან 5 უფროსი აგენტი ყოფილა და ათიც დაბალი ხარისხის. ამაზეა სწორეთ ნათქვამი: სხვისა მაზიარებელი მოკვდა უზიარებელიო.

—

14 იანვარს, ნინობა დღეს, როგორც „მთავრობის უწყება“ იწერება, ყაზანის სასულიერო აკადემიის ეკლესიაში ქართულათ ყოფილა წირვა გადახდილი. ზოგიერთი საგალობელიც ქართულათ უგალობნიათ. სოხუმელები, რომ ამ დროს რუსეთის ქალაქში ყოფილიყვნენ, ხომ ეღირსებოდნენ ქართულ წირვას. მოგეხსენებათ რომ სოხუმში ითხოვეს ნება მოგვეცით ქართულათ ვაწირვინოთ ღვდელსო, და ამაზე უარი უთხრეს.

—

14 თებერვალს ქ. იურიევში გაიმართა პირველი ქართული სალამო ქართველ სტუდენტთა სასარგებლოთ.

—

გადაუწყვეტიათ რკინის გზის თავისუფალ მოქირავე მსახურთ ავათმყოფობის დროს ჯამაგირი ეძლეოდეთ ხოლმე ისე, როგორც სახელმწიფო სამსახურში მყოფთ ეძლევათ.

—

განზრახვა აქვთ ამიერ კავკასიის რკინის გზის

ზოგიერთ სადგურებთან დაარსონ სატელეგრაფო სკოლები, საიდანაც უნდა გამოვიდნენ თავის ხელობის კარგათ მცოდნე ტელეგრაფის მოხელენი. ეს სკოლები დაარსებული იქნებიან ჯერ-ჯერობით თფილისის, მიხაილოვის, განჯის და ბაქოს სადგურებთან. სწავლა უფასო იქნება.

—

იანვრის განმავლობაში გროზნის ნავთის წარმოებას 11 შადრევნიდან ამოუღია 1,160,088 ფუთი ნავთი, გაუყიდია 1,227,821 ფ. ამ დროს განმავლობაში უმუშავნია მხოლოთ 25 კაცს.

—

როგორც უკანასკნელი საერთო მკვიდრთა აღწერიდანა ჩანს, მთელ რუსეთის იმპერიაში ყოფილა: 126.366,000 სული; ამ რიცხვში ქალაქის მცხოვრებნი 16.289,000. მთელ კავკასიაში ყოფილა 9.248,000 სული. ყველაზე მჭიდროთ დასახლებული ჩვენ მხარეში ყოფილა: ერევნის გუბერნია (34,6 კვადრატიულ ვერსტზე), შემდეგ ქუთაისისა (33,5 კვ. ვერ.), თფილისისა (26,6); ყველაზე ნაკლებ შავი ზღვის პირის გუბერნია (8,4). იმავე აღწერიდან ჩანს, რომ მთელ კავკასიაში მამაკაცთა რიცხვი სჭარბობს დედაკაცთა რიცხვს, რაიცა, რასაკვირველია, დიდათ აფერხებს ხალხის გამრავლებას.

—

დღეს, კვირას, ავჭალის სასადილოში სახალხოთ წარმოდგენილ იქნება: „ჯერ დაიხოცენ და მერე დაქორწილდენ" და „ადვოკატი მელაძე".

—

ჩვენ მივიღეთ შემდეგი ახალი წიგნები გამოცემული „გლეხის" ამხანაგობისა: „ინგლისელები", „იტალიელები" და „გერმანელები", გადმოთარგმნილი ე. ვოდოვოზოვის თხზულებიდან. წიგნები თავის შინაარსით მეტათ საინტერესოა, ასე თუ ისე გაცნობთ დასავლეთ ევროპის ხალხთ მათი ზნე ჩვეულებებით და წეს-წყობილებით. მხოლოთ შიგ ჩართული სურათები არც ერთ დასახელებულ ხალხს არ გავს და უსურათოთ ეს წიგნები ძალიან მოიგებდენ, ენა აქა-იქ კოჭლობს, გამოცემა სუფთა და ლამაზია. ვისურვებთ ამ წიგნაკების გავრცელებას.

## წერილი ქუთაისიდან.

Ქუთაისი. (იმერეთის მკვიდრთა გაჭირვებულ მდგომარეობაზე) სხვათა შორის წინა წერილში ჩვენ მოვიხსენიეთ, რომ ქუთაისის სამეურნეო განყოფილების უკანასკნელ (13 იან.) კრებამ თავის უკანასკნელ სხდომაზე აირჩია განსაკუთრებული კომისია, რომელსაც მიანდო სამეურნეო კრიზისის შესახებ მოხსენების წარმოდგენა. ამ კომისიამ თავისი მოხსენება უკვე წაიკითხა 27 იან. იმავე განყოფილების კრებაზე. თითქოს მოსალოდნელი იყო, რომ ასეთ საინტერესო სხდომას ჩვეულებრივზე მომეტებული საზოგადოება უნდა დასწრებოდა, მარა ქუთაისში ერთხელ მიღებულ ჩვეულებას ძნელათ თუ ვინმე ღალატობს და ასეთი საზოგადო საქმეც, როგორიც არის მთელი გუბერნიის მკვიდრის ეკონომიურ მდგომარეობაზე ზრუნვა, აქაურებმა აინუნშიაც არ ჩააგდეს და 4—5 კაცს მოახვიეს თავს, როგორც ეს ყოველ საქმეში ემართება აქაურ ინტელიგენციას.

27 იანვ. კრებაზე მეტათ გატაცებული ლაპარაკი გამოიწვია კომისიის მოხსენებამ ქუთაისის გუბერნიის დღევანდელ ეკონომიურ დაქვეითების შესახებ. რომ ასეთ საკითხზე სჯა-ბაასს უფრო მკვიდრი ნიადაგი ჰქონდეს და მარტო ლაპარაკით არ თავდებოდეს ხოლმე საქმე, საჭიროა სამეურნეო საზოგადოების კრებებზე სოფლის მეურნეთ მიაღებინონ მონაწილეობა და ისინი ალაპარაკონ თავის მდგომარეობაზე, თორემ აქაც ისეთივე „ოტჩოტობანობა" გამოვა, როგორც ყველგან და განსაკუთრებით თფილისის მეურნეობის მფარველთ მოსდით ხოლმე. სამეურნეო განყოფილების კომისიის მოხსენებაშიაც სრულიად სამართლიანათ არის ნათქვამი, რომ საკმარისია ერთი ორჯელ კიდე განმეორდეს ისეთი ზამთარი, როგორის მომსწრე ამ სამ უკანასკნელ წლებში ქუთაისის გუბერნია იყო, და ყოველგვარი სამეურნეო დარგი მკვიდრისა ათი-თხუთმეტი წლით უკან დაიხევს. მართლადაც, ამ უკანასკნელმა 3—4 წელმა ქუთაისის გუბერნიის მკვიდრს შესამჩნევი ეკონომიური დაქვეითება შეძლენა, ამ 3—4 წლის განმავლობაში იჩინა თავი ტყიბულის ქვანახშირის მმართველობის ძველმა დაგუბებულმა ცოდვებმა, რისგამოც ერთი დიდი შემოსავლის წყარო მოაკლდა იმერეთის მუშა ხალხს საზოგადოთ და მის გარშემო მცხოვრებ ოკრიბის მეტათ დაქვეითებულ მკვიდრს კერძოთ. ჭიათურის მარგანეცის ამ უკანასკნელი 2 წლის კრიზისმა ლამის არის წელში გაწყვიტოს არა მარტო უბრალო დღიურ მოქირავე მუშები, არამედ თვით მწარმოებელი კაპიტალისტებიც. დღეს დიდი თუ პატარა, მემამულე თუ ექსპორტიორი, (ბაზარზე საქონლის გამტანი) კაპიტალისტი თუ მუშა ყველა იმას კითხულობს: როდის იქნება ჭიათურის მარგანეცის საქმის გამოკეთება? როდის იქნება ლუკმა პურის მოპოვების იმედი მოგვეცეს, როდის იქნება ახალი „სინდიკატი", რომელსაც მრავალი ცრურ მანანასავით ელის, თავს მოგვიყრის და მამაკვდავეთ სულს მოგვათქმევინებსო, და ათასი ამგვარი ოხვრა-საჩივარი გაისმის მთელ იმე-

რეთში ყოველგან და ყველასაგან... მაგრამ ჭიათურის საქმე იმდენათ საიმედოა, რამდენათაც უიმედო, რადგან, თუ ზოგიერთი გაზეთების ცნობებს მაინც დაეუჯერებთ, უკეთესი და უფრო იაფი ფასის მარგანეცი სხვა უცხო ქვეყნებში გამოჩენილა, რაც ჩვენ მოიმედეთათვის ვერაფერი იმედია. . რაც შეეხება სხვა წარმოების დარგებს იმერეთში, ჯერ ჯერობით აქაურებს არც ისე შესამჩნევათ გადაუდგამს ფეხი, რომ მით ერის სიმდიდრეს, ხალხის ეკონომიურ მდგომარეობას რაიმე ემატებოდეს... არის აქა იქ ხე-ტყის წარმოება (სვანეთში — ოქრომჭედლიშვილის და — რაჭაში მოსეშვილის) მარა შესამჩნევი დაღი ვერც ამათ დაასვეს ჩვენებურ წარმოებას და კუს ნაბიჯით ეწევიან საქმეს.

ახლა თუ თვალს გადავავლებთ მიწათ მოქმედების საქმეს, ვერც აქ ვნახავთ აქაურ მკვიდრთათვის საიმედო ნიშნებს. ერთათ ერთი მომცემიანი დარგი ჩვენებური პატრიარქალური მეურნეობისა არის მევენახეობა, რომლის შემოსავალმა მეტათ შესამჩნევათ იკლო ფილოქსერის, ნაცრის, ობის, ბლეკროტის და მრავალ სხვა ვენახის ავათმყოფობათა გამო. შორაპნის მაზრისა და გურია-სამეგრელოს მხარეებში, სადაც საუკეთესო ღვინოს აყენებდენ ძველათ, დღეს ზღაპრივით იხსენიებენ იმ დროს, როცა საპალნე საუკეთესო ღვინის ფასი 150 კ. დაწყებული 5 მანეთზე ზევით არ აიდოდა, როცა ღვინოს ყანაშიაც კი ხმარობდენ სამწყურვალოთ, არა თუ იჯრაზე, როცა სვირელი გლეხი საშუალო რიცხვით 10—200 საპალნე ღვინოს ყიდდა ყოველ წლობით და დღეს საზედაშეთაც აღარ აქვს იგი... დღეს ამერთ ეს ეკონომიური წყარო ხელთ ეცლება და ის დრო კი როდესაც ამერიკულ ვაზებზე დამყნული ვენახები აქაურ მკვიდრს მაკიერობას გაუწევს, ის დრო, ვიმეორებთ, ძალიან შორს არის, თუ სახეში ვიქონიებთ ჩვენში მომქმედ ნასწავლ მეურნეების ამ საქმეში განუსწავლობას და ხალხის ცხოვრების დაუკვირვებლათ და შეუფერებლათ მოქმედებას...

სიმინდი, რაც ერთათ ერთი სალსარია ქვემო იმერეთის და გურია-სამეგრელოს მკვიდრისა, სულ თანდათან კლებულობს, როგორც ფასებში (საზღვარგარეთში), ისე მოსავლიანობით (ზემო იმერეთში), რაჭა-ლეჩხუმში, სადაც ეს ორი-სამი წელიწადია მოუსავლობის გამო სიმინდის ფასი 60 კ. დაწყებული 160—180 კაპეიკამდე ადიოდა ფუთი. ხილეულობა, რომლის საქმე ქუთაისის გუბერნიაში კარგათ უნდა წარმოებდეს, რადგან აქ ჰავის სინარნარის გამო, მრავალგვარი ხეხილები ხარობს და ბაზარიც ახლოსა აქვს, — ხილეულობის საქმეც ამ უკანასკნელმა სუსხიანმა ჩრდილოეთისებურმა ზამთრებმა მეტათ დააზიანა, დაამტვრია და გზა შეუკრა გადატან გადმოტანას. რაჭა-ლეჩხუმის მაზრა, საიდანაც ამდენხანს აუარებელი საზამთრო და საზაფხულო მხალი და ვაშლი შემოდიოდა ქუთაისში და ადგილობრივ ბაზარს გარდა გაჰქონდათ ბათუმსა, ფოთსა, ნოვოროსიისკსა და რუსეთის სხვა ქალაქებში, — დღეს ასეთი ვაჭრობა შედარებით დაცემულია. რაც შეეხება საქონლის (პირუტყვის) ყიდვა-გაყიდვას, — ამ მხრით ამერთა მკვიდრს ძალიან მცირე შამოსავალი აქვს, რადგან საბალახო მიწების სიცოტავის გამო (განსაკუთრებით შორაპანსა და რაჭა-ლეჩხუმში) ის საქონელს ვერ ინახავს გარდა იმისა, რაც მის ხელმოკლე მეურნეობისათვის არის საჭირო; ე. ი. ერთი უღელი ხარი, ერთი ძროხა, რამდენიმე ცხვარი, ღორი და ქათამი, რომელთა გამოსაკვებათ თითქმის მომეტებულმა ნაწილმა იმერეთის გლეხკაცობისამ დიდი ბაჟი უნდა უხადოს საბალახოს პატრონ მემამულეებს. ძვირფას მცენარეთა (ე. ი. ჩაის, ჩინური ხურმის, ზეთის ხილის, ბრინჯის, შაქრის ლელწმის, ჰინჭრის და სხ. მრავალ მისთანების) კულტურის საქმე კი ჯერ ჩვენ მეურნეებს თავის საცდელ მინდვრებში, ბაღებსა და სკოლებშიაც ვერ მოუგვარებიათ და ვინ იცის როდის იქნება ის დრო, როცა ისინი მათ ჩვენ ხალხში გზას გაუკაფვენ და თავის ნალოლიავევი ვიწრო ფარგლიდან—სკოლა-მინდვრებიდან—სოფლის გლეხის მეურნეობაში გადიტანენ!!! გვიან და ძალიანაც გვიან, ჩვენ რომ მათ კაბინეტურ მოქმედების მოწმენი ვართ... დაგვრჩა კიდევ ერთი ორი დარგი იმერეთის მეურნეობისა, სახელდობ: მეაბრეშუმეობა, რომლითაც ამ უკანასკნელათ ისე გატაცებულნი არიან ამერნი, რომ ყოველ კუთხეში იმის გასაძლიერებლათ ამხანაგობებს აარსებენ და მეთამბაქოობა, რომელსაც თითქმის მარტო გურიაში ეწევიან, სხვაგან კი საშინაო სახმარებელათ თუ მოჰყავთ, თორემ ბაზარზე არ გააქვთ. უნდა ავღიაროთ, რომ მეაბრეშუმეობას იმერეთში კარგი მომავალი მოელის, რადგან თუთის (ბჟოლის) ხე, რომელიც მასაზრდოებელია აბრეშუმის ჭიისა და რომელიც ყოველგან არ ხარობს, იმერეთში ყოველ კუთხეში იზრდება და არც ისე დიდ მოვლასა თხოულობს, როგორც სხვა რაიმე მცენარე. იმას ყოველგან და ყველას ეზოში ნახავთ იმერეთში, მხოლოთ ჯერ თუ ფასი არ დადებია, — ეს ჩვენებური დაუდევრობისა და დროის შესაფერათ უმოქმედობის ბრალია. იქ, სადაც მეაბრეშუმეობას მისდევენ, მაგ. ნუხასა და საფრანგეთში, ამ მცენარეს, როგორც ჩვეულებრივათ ყველაფერს, დიდათ აფასებენ და ძალზე ამრავლებენ, რის გამოც იქაური მეაბრეშუმეობა მთელ ქვეყანაზე განთქმულია და დიდძალ შემოსა-

ვალს იძლევა. ჩვენში კი მეაბრეშუმეობა უცოდინართა ხელშია და ამ სამომავლო საქმეს სათავეში უდგიან ჩვენებურათ განსწავლულნი დილეტანტები, რომელნიც, გატაცებულნი ვითომდა საზოგადო მოღვაწეობით, კერძო ინტერესებს ანაცვალებენ ამ ერთათ ერთ სახალხო საეკონომიო საქმეს და იმას კი აღარ ფიქრობენ, რომ ყოველ საქმეში გულუბრყვილო სურვილთან მტკიცე, მეცნიერული თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილებაცაა საჭირო. ამაებს ჩვენები არ დაგიდევენ და ამიტომაც მოხდა, რომ ამდენი აუარებელი მითქმა-მოთქმა დაბადა ცხოვრებაშიც და ლიტერატურაშიც გურია და გუბ-კუხის მეაბრეშუმეთა ამხანაგობის მართვა-გამგეობამ, რაც საქმის, ყველა დამეთანხმება, მეტათ შემაფერხებელია. ახლო მომავალში, როგორც გაზეთებმა გვაუწყეს, ორივე ამხანაგობის კრებები მოსალოდნელია და საჭიროა მათმა წევრებმა და საზოგადოებამ უფრო შეგნებულათ მოკიდონ ამ სახალხო საქმეს ხელი და თითო-ოროლა კაცის პირად შენ-ჩემობას არ ანაცვალონ იგი. მეაბრეშუმეობა იმერეთში ისეთი დარგია, რომელსაც ადვილათ შეუძლია მევენახეობის მაგიერობა გასწიოს, მით უფრო, რომ იგი იმერეთში დედაკაცის ხელობათაა გადაქცეული და ჩვენ ისეთაც უსაქმურ დედაკაცებს რომ ამით საქმე გავუჩინოთ და ეკონომიურათ საბრძოლველ ნიადაგზე გამოვიყვანოთ,—ვგონებთ რომ ეს მათი დიდი სამსახური იქნება...

(შემდეგი იქნება)

ისი.

## კვირიდან კვირამდე.

ახალი ღვინო ძველ გუდაში—ახალი ბატონი—კაზიანი—მისი ყმები—ყბათ აღებული—ლუარსაბური ანგარიში.

ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობა ძალა უნებურათ იქცევს ჩვენ ყურადღებას. იგი ხედავს რომ მას თანდათან ეკარგება ძალა დ ეცლება ხელიდან მიწა-მამული. უხსოვარ დროიდან ფუფუნებას და ბატონობას დაჩვეული წოდება ადვილათ ვერ შეურიგდება ამ გარემოებას. რაც ძალი და ღონე აქვს, იგი ცდილობს თავის თავად-აზნაურული უპირატესობის დაცვას, მამულის შერჩენას, ე. ი. უწინდულათ ბატონობას. მაგრამ თავად-აზნაურობამ ერთობ გვიან შეიგნო, რომ ჩვენ დროში ნამდვილი ბატონი ფულია და ამიტომ არა დიდი გვარიშვილობა და მამულის ქონება ხდის დღეს კაცს ბატონათ. თუ ფული გაქვს, მაშინ ბატონიც ხარ; თუ არა, ადრე იქნება თუ გვიან, იძულებული იქნები ქედი მოიხარო მის წინაშე. საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ თავად-აზნაურობას ფული წინეთაც უყვარდა, მარა იმ დროს მოტრფიალე თავის სატრფიალო საგნის ნამდვილ ძალას არ გრძნობდა; მან არ იცოდა, თუ რა ძალა ინახებოდა იმ ლითონში, რომელიც მას მუდამ ხელიდან უსხლტებოდა: იმ დროს თავად-აზნაურობა ფიქრობდა, რომ ფული მხოლოთ მის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ არის გაჩენილი და ამიტომ სულ ერთია, თუ ვინ შეიძენს მას, მხოლოთ გაფლანგვით კი თავად აზნაურობამ უნდა გაფლანგოსო. და მართლაც ჯერ კერძო კრედიტორები, შემდეგ სხვა-და-სხვა ბანკები და ისევ კერძო კრედიტორები კარგათ შეელოდენ თავად აზნაურობის მიერ სხვისი ოფლით მონაგარი ფულის გაფლანგვას. მხოლოთ ამ უკანასკნელ ხანებში თავად-აზნაურობაში თანდათან ფეხს იკიდებს ის რწმენა, რომ თვით თავად-აზნაურობამ უნდა გამონახოს ის საშუალებანი, რომელთა მეოხებით შესაძლებელი იქნება ფულის შეძენა, რომ საჭიროების დროს სხვას არ ჩაუვარდეს კლანჭებში. ამიტომ დღეს ჩვენში მრავალი თავადი და აზნაური კიდებს ხელს სხვა და სხვა სამრეწველო და საალებ-მიცემო საქმეს, და შრომასაც აღარ თაკილობს; ამასთანავე აარსებენ სხვა-და-სხვა ამხანაგობებს, როგორც, მაგ., კახეთის მევენახეთა საზოგადოება, გორის მაზრის თავად-აზნაურთა საწყობი და სხ. საინტერესოა აქ ის გარემოება, რომ ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობა ერთ და იმავე დროს ფულის, კაპიტალის, შეძენის ასპარეზზედაც მოღვაწეობს და თავის წოდებრივ განცალკევებას, კორპორატიულ ერთობასაც იცავს. ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობა ფიქრობს, რომ შესაძლებელია კაპიტალისტური წეს-წყობილების და ძველი წოდებრივი უპირატესობის ერთათ მორიგება.

საკვირველი აქ ის არის რომ, თავად-აზნაურობის აზრით, თავად-აზნაურული უპირატესობა კაპიტალისტურმა წარმოებამ უნდა დაიცვას და შეინახოს.

* * *

შეიძლება, ვინმემ იფიქროს, რომ ჩვენ ვითომც თავად-აზნაურობას ვუსაყვედურებდეთ, რათ ზრუნავს იგი თავის ინტერესებზედ. ეს ცილის წამება იქნება. ჩვენ იმას ვამბობთ მხოლოთ, რომ კაპიტალი, კაპიტალისტური წეს-წყობილება და თავად-აზნაურული პრინციპი ვერ მორიგდებიან. აი ამას წინეთ, ამ თვის ორს ქართლის თავად-აზნაურობას კრება ჰქონდა ქალაქ გორში ახალი კაპიტალის შედგენის თაობაზე თავად-აზნაურობის სხვა-და-სხვა საჭიროების დასაკმა-

ყოფილებლათ. როგორც ვიცით, თფილისის გუბერნიის გლეხ-კაცობას დიდძალი პურის გარდა ერთ მილიონამდე ფულათ ფული აქვს. ეს მიეწერება გუბერნატორათ ნამყოფ თავად შარვაშიძის მეცადინეობას, რომელმაც შექმნა პურის მაღაზიები და საწყობები. 2 თებერვლის კრებაზე მაზრის ახალმა მარშალმაც, თ-მა ბაგრატიონ დავიდოვმა, წინადადება მისცა თავად-აზნაურობის კრებას სათავად-აზნაურო პურის მაღაზიის დაარსებაზე. ამისთვის საჭიროა, რომ თითოეულმა თავადმა ან აზნაურმა თავის სურვილით შეიტანოს თავად-აზნაურობის მაღაზიაში პურის განსაზღვრული რაოდენობა, ან ხორბლათ ან ფულათ. კრებამ თითქმის ერთხმათ გადაწყვიტა: მაზრის წინამძღოლს ვთხოვოთ სათავად-აზნაურო კაპიტალის პროექტის შედგენა და საგანგებო კრებისთვის წარდგენა. განა ამის წინააღმდეგ შეიძლება რამე რომ ვთქვათ? ჩვენ იმას ვამბობთ მხოლოთ, რომ როგორც სათავად-აზნაურო კაპიტალი, ისე სხვა-და-სხვა ბანკები და საზოგადოთ კრედიტი თავად-აზნაურობას როგორც წოდებას ვერ იხსნის; იგი მხოლოთ დაეხმარება მის სხვა-და სხვა ნაწილათ დაყოფას, დიფერენციაციას, რაც დღესაც ყველასთვის თვალსაჩინოა. ასეთი საშუალებანი იხსნიან მხოლოთ იმათ, ვინც გაბურჟუაზების გზას ადგას. შესაძლებელია, პირველ შეტაკებაზე ძველი ფეოდალი არ შედრკეს, მან ქედი არ მოიხაროს ახალი ბატონის წინაშე, რომელიც ძველ უსწორ-მასწორობას და წოდებრივ უპირატესობას სპობს, მაგრამ ეს მხოლოთ პირველ შეტაკებაზე. ხოლო მისი დამარცხება პირველ შეტაკებაზედაც ყველასთვის თვალსაჩინოა.

* * *

ერთი ასეთი შეტაკება მოხდა გასულ კვირას ქ. თფილისში, მარა არა ქუჩაზე და ოჯახში, არამედ ქართულ სცენაზე. იმ დღეს წარმოდგენილიქმნა რუსულიდან გადმოკეთებული ხუთ მოქმედებიანი დრამა „ა. კაზაიანი“. ვინ არის კაზაიანი? ის ასე მოუთხრობს თავის ვინაობას თ. ჯარჯიძის ასულს: ამ რამდენისამე წლის წინეთ, როცა მამა-თქვენი თფილისში ბატონობდა და მისი ხმა გრგვინავდა, ერთ დამპალ სარდაფში შიშველ-ტიტველნი ეყარენ ერთი ახალ-გაზდა კაცი, მისი დედა და და. შიმშილისაგან დასნეულებული დედა და და ჭლექით გარდაიცვალა, დარჩა ერთათ ერთი ობოლი ვაჟი, რომელმაც ფიცი მისცა თავის თავს ასეთი დაჩაგვრისათვის საზოგადოებაზე ჯავრი უნდა ვიყაროვო. ეს ახალ-გაზდა კაცი მე გახლავარ. ის დედა დ̃ და ჩემი დედა და და იყვნენ. მას შემდეგ ჩემი ერთათ ერთი მიზანი, ერთათ ერთი სატრფიალო საგანი ფული შეიქმნა. შევირთე ერთი ქვრივი, მხოლოთ იმიტომ რომ მას დიდძალი ფული ჰქონდა მზითვათ და ამ ფულით მე ჩემი საქმე ფეხზე დავაყენე და გავხდი იმათ, რაც დღეს ვარ. და აი ახლა, როცა მე მაღლა ავიწიე, მამათქვენი დაბლა დაიწია და მივიდა იმ ზომამდე რომ ყველაფერი აუწერეს, გაუყიდეს და გაალატაკეს.

აი ამ ორი პირის სავალი გზა; ერთი მხრით დგას გუშინდელი ვიგინდარა და დღეს გაძლიერებული კაპიტალისტი; მეორე მხრით გუშინდელი ყოვლად შემძლე და დღეს გაკოტრებული თავადი. ბრძოლა ამ ორ პირთა შორის — აი რაზე არის აშენებული მთელი დრამა, და მერწმუნეთ, რომ ეს ამავე დროს ძველი და ახალის, წასულის და აწმყოს ბრძოლაა. ბრწყინვალე წოდება დამარცხებული ცხოვრებაში მარცხდება სცენაზედაც და ეს არავისთვის გასაკვირველი არ არის. ხელოვნური ნაწარმოები ცხოვრების უტყუარი სარკეა და აქ გამართული შეტაკება პოულობს იქაც თავის ნამდვილ გამოხატულებას. კაზაიანი ებრძვის თავად-აზნაურობას და მის ნანგრევზე აშენებს თავის დიდებას. მარა განა ის ამას თავისი ძალ-ღონით შერება, თავის შრომით აღწევს?

* * *

ნეტა ერთი ვიცოდეთ, რა გზით, რა საშუალებით ხდება ამ კაპიტალის მოპოვება, რომელზედაც დღეს ყველა ლოცულობს! ან ვინ არის კაპიტალის შეძენის იარაღი? თუ კაპიტალის შეძენა ყველასთვის სასურველი და საწადელი რამ არის, სამაგიეროთ მუშა ხალხის მდგომარეობის გაცნობა, ურომლისოთ კაპიტალის შეგროვება ყოვლად შეუძლებელია, უმრავლესობისთვის საინტერესო როდია: ეს მისი ზრუნვის გეგმაში არ შედის. მარა ამ ბოლო დროს მუშებიც იქცევენ საზოგადოების ყურადღებას. მეტათ საყურადღებოა ამ მხრით ბ. ნ Verbum-ის წერილი „კავკაზში“ ბათომის „დამტვირთველების მდგომარეობის შესახებ“ (№ 38). მკითხველი აქ გაეცნობა, თუ რა პირობებში მუშაობენ ბათომში მუშების ერთი კატეგორია, თუ როგორ სისტემატურათ ყვლეფს მათ კანტორების მეპატრონენი ცალკე და მედუქნები ცალკე. ვინც ცოტათ თუ ბევრათ იცნობს თანამედროვე წარმოების წესს, იმისათვის აქ ყველაფერი ნაცნობია: სამუშაო დღის გადიდება და ქირის შემცირება, ან თუ რა ხერხით და რა გზით აწერენ გადასახადს მედუქნეები და კანტორის ნოქრები მუშების დღიურ ქირას.

ზოგიერთ კანტორებში ამას გარდა ქირის მიღების წესიც თავისებურია, სახელდობ მუშებს თურმე პირდაპირ ფულს კი არ აძლევენ ხელში, არამედ კვიტანციას. მაგრამ მუშა ხომ თავის დღიური

ქირით ცხოვრობს და კანტორის კვიტანციას კი საქონლის პატრონი არ აიღებს. ამ ნაირათ მუშა, სანამ ის კანტორიდან ფულს მიიღებდეს, შიმშილით მოკვდება, მარა აქ მას უჩნდებიან კეთილის მყოფელები, რომლებიც კვიტანციებში ფულს იძლევიან, ე. ი. ისინი ყიდულობენ ამ კვიტანციებს. რა კარგი ყოფილა ეს კვიტანციის მყიდველებიო, — იტყვით თქვენ, — ნამდვილი მხსნელები არიან. მაგრამ იმასაც ნუ დაივიწყებთ, რომ კვიტანციების განაღდება მათ ყოველ 70 ან 80 კაპეიკზე ორ შაურ მოგებას აძლევს! რას იზამთ: უანგარონი არიან! ამასთანავე არც კვიტანციის ყველა მყიდველია ბედნიერი! კვიტანციების განაღდების მონოპოლია რამდენსამე ბედნიერ ჩარჩს ჩაუგდია ხელში! გ-ნ Verbum-ს აქვს აწერილი მხოლოთ დამტვირთველების მდგომარეობა, რომელთა რიცხვი დიდი მუშაობის დროს ორი ათასამდის ადის ხოლმე. სხვა კატეგორიის მუშებისაგან ეს დამტვირთველები იმით განსხვავდებიან სხვათა შორის, რომ ისინი მუდამ ბათომში ცხოვრობენ, თუმც სამუშაო ხშირათ არც იმათ აქვთ.

*
* *

რადგანაც ბათომზე ჩამოვარდა სიტყვა, ბათომის თვით-მართველობასაც ველარ ავუვლით გვერდს. ბათომის თვით-მართველობამ ამას წინეთ იშუამდგომლა კლასიკური გიმნაზიის გახსნა და ნება დართეს კიდევაც. ერთ დროს უნივერსიტეტის გახსნაზედაც ლაპარაკობდენ ხოლმე ბათომში; ამ ჟამათ ბათომის თვით-მართველობა ელექტრონული განათების შემოღებას მეცადინეობს. ჩვენ ამაზე ქების მეტი არა გვეთქმის რა! ეტყობა, ბათომი ცივილიზაციის მომხრეა. მაგრამ რას მივაწეროთ ის, რომ დღეს, როცა ნავთით განათებაც ასე იაფია, ის უბნები, სადაც დაბალი ხალხი ცხოვრობს, ჩვეულებრივ განათებასაც მოკლებული არიან, და ავდრის დროს გავლაც შეუძლებელია ტალახის გამო? ეს კიდევ არაფერი. ბათომის თვითმართველობამ გიმნაზია დაიარსა; ადვილათ შესაძლებელია ახლო მომავალში რომელიმე მაღალ სასწავლებლის დაარსებაზე აღძრას კითხვა. ესეც მოსაწონია. მაგრამ რის მომასწავებელია ის ფაქტი, რომ ბათომს არც ერთი სამოქალაქო პირველდაწყებითი სკოლა არა აქვს დღემდის? რას ნიშნავს, მკითხველო, ის, რომ როცა ბათომის წლიური ხარჯთ-აღრიცხვა მილიონამდის ადის, პირველდაწყებით სწავლისთვის ერთ გროშსაც არ ხარჯავს. ბარაქალა ბათომის თვით-მართველობას! მას, ვგონებ, ამ მხრით თფილისის თვით-მართველობაც კი ჯობია! ასე გაშინჯეთ, ბათომის თვითმართველობა „ჩერნომორსკი ვესტნიკის“ ყბათ ასაღებათაც კი გამხდარა! ესეც ეყოფათ ბათომელებს!

*
* *

არა ნაკლებათ ყბათ აღებულია „წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობა“. წელს და ისიც ამ თვეში ამხანაგობის გამგეობას დაუბეჭდია 1896 წლის ანგარიში და დაურიგებია წევრთათვის გასაცნობათ. ჯერ ერთი რატომ ოთხმოცდა თექვსმეტი წლის ამბები ოთხმოცდა თვრამეტში უნდა გაიგონ? ანგარიში ჩვეულებრივ წლის გასულს იბეჭდება და არა ორ წელს შემდეგ. მარა დავანებოთ ამას თავი, ისიც ღვთის წყალობათ უნდა მივიღოთ ანგარიში სულაც რომ გამოაშკარავეს და ცხრა-კლიტულში არ შეინახეს. თუმცა, სიმართლე მოგახსენოთ, ამ ანგარიშის გამოქვეყნებას გამოუქვეყნებლობა ათას წილათ ჯობდა. ან და რას ნიშნავს იმდენი არევ დარევა რომელიც ამ პაწია წიგნაკში მოიპოვება? აქედან ანგარიშის რა მოგახსენოთ და უანგარიშობას კი ბევრი ისწავლის. განსაკუთრებით საუცხოვოთ შედგენილია ნუსხა ამხანაგობის გამოცემული წიგნების გაყიდვისა. აი ამ ბუხგალტერიის ნიმუში: 1, ი. ჭავჭავაძის თხზ. I ტომი. გაიყიდა თფილისში 33 ცალი. მაშინ როდესაც წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიას, როგორც მისი დავთრიდან ჩანს, გაუყიდია 35 ცალი. იმავე ავტორის მე-IV ტომი გაიყიდა 10 ცალი. წ. კ. საზოგადოებას კი 13 ცალი გაუყიდია. აკაკის თხზულებები ანგარიშის სიტყვით სულ 52 გაიყიდა, ხოლო წ. კითხ. საზოგად. დავთრით ამდენი მარტო მას გაუყიდია და ასე ბოლომდი ერთი სიტყვით ამხანაგობას არ უჩვენებია ის რაც ნამდვილათ გაყიდულა. მისი ანგარიში ნამდვილზე ბევრათ ნაკლებია და რასაკვირველია შემოსავალიც ნაკლები უნდა იყოს აღნიშნული. რაც შეეხება პროვინციას, იქ ხომ არაფერი არ გაყიდულა, როგორც ანგარიშიდან ეტყობილობთ. ასე რომ აღარც პროვინციის და აღარც თფილისის წიგნებით ვაჭრობა არ არსებობს ანგარიშისთვის და ამავე დროს გვაყრუებენ, ამხანაგობა ცუდათ მიდისო. ცუდათ წავა, თქვე დალოცვილებო, მა რა იქნება, როცა არ იცით არც შემოსავლის და არც გასავლის რაოდენობა. ასეთი ანგარიშები სწორეთ ლუარსაბური ანგარიშებია და მეტი არაფერი.

## ქ რ ო ნ ი კ ა

### (ე ვ რ ო პ ა)

წასული თვის განმავლობაში ევროპა ჩვეულებრივზე უფრო მეტ ფაცა-ფუცში იყო. ევროპა რომ ვამბობთ, ჩვენ აქ მარტო ის კი არა გვაქვს მხედველობაში, რასაც გეოგრაფიის სახელმ-



იტალიელი ქალი მიდის სამშობლოს დასაცველად.

ძლევანელოებში აქვს ხოლმე მითვისებული ეს სახელ-წოდება. ევროპა დღეს მთელ დედამიწასაც თამამათ შეგიძლიათ უწოდოთ, ვინაიდან მისი ერთი ნაწილი უკვე გაევროპიელებულია და მეორეც ახლა ევროპიელდება.

რა გზით, რა საშუალებით ხდება ეს გაევროპიელება? ეს მეტათ რთული საგანია; ჩვენ აქ მხოლოთ იმას ვიტყვით, რომ არავითარი სასწაულმოქმედებითი ძალა არ ყოფილა ამისთვის საჭირო. მისიონერი, ვაჭარი, სალდათი და ზოგიერთ შემთხვევაში ნასწავ-

ლი მოხელე, აი ვინ გაავრცელა ევროპის კულტურა, აი ვინ დაანგრია საუკუნოების განმავლობაში ამართული ჩინური კედლები. ერთი სიტყვით, ჩვენ აქ იმას ვამბობთ, რომ თუ ერთი „ევროპა“ დედამიწის იმ პაწაწკინა ნაწილსა ჰქვია, რომელსაც გეოგრაფიულ რუკაზე ევროპა აწერია, მეორე „ევროპა“ თითქმის მთელი დედამიწის ზურგზეა გავრცელებული. ამნაირათ ევროპა შიგნით და ევროპა გარეთ, აი რა მოგვიტანა ახალმა დროებამ.

ამ წუთშიაც, როცა ჩვენ ამ სტრიქონებს ვწერთ, ვინ იცის რამდენი სისხლი იღვრება, ან რამდენი მზადება ხდება ადამიანის სისხლის დასაღვრელათ ამ მეორე ევროპაში, ე. ი. იქ, სადაც ევროპა თავის გავლენას, თავის კულტურასავრცელებს. ჩვენ რომ აქ მშვიდათ გვძინავს, იმ დროს ინგლისელი, გერმანელი, ფრანცუზი, სხვა-და-სხვა სამეცნიერო ან სამისიონერო ექსპედიციის სახელით, სადმე სახარის უდაბნოში ან ავსტრალიის კუნძულებზე თავს აკლავს ველურ ხალხს, თავისი ქვეყნის გასაძლიერებლათ ეკონომიურათ და პოლიტიკურათ. ვგონებთ, დედამიწის ზურგზე აღარ უნდა მოიპოვებოდეს იმისთანა კუთხე, სადაც არ მისულიყოს ევროპიელი სახარებით და საზომ-საწონით. ჩვენთვის ყოველივე ეს გაუგებარი დარჩებოდა, რომ ევროპის სახელმწიფოების ეკონომიური ვითარება, მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკა რამდენიმეთ შეგნებული არ გვქონდეს. *) თანამედროვე წარმოების წესი და მასთან მჭიდროთ შეკავშირებული საგარეო და საშინაო პოლიტიკა ევროპის სახელმწიფოების მთავრობათა დენის ევროპიელ ვაჭარს სალდათის ან მთელი არმიის მფარველობას ქვეშ შორეულ ქვეყნებში კაპიტალისტურ ნაწარმოებთა გასასაღებლათ კაპიტალისტური ევროპის ნაწარმოებს დიდი ხანია აღარ ყოფნის ევროპის ბაზარი; ამიტომ იგი მუდამ ახალი ბაზრების ძებნაშია. მაგრამ ევროპა ხომ ერთ სახელმწიფოს ან ერთ ეროვნებას არ წარმოადგენს, რომ კაპიტალისტები თანახმათ მოქმედებდენ ამ ბაზრების მოპოვებაში. წვრილმან სახელმწიფოებს და ერებს რომ თავი დავანებოთ, ჩვენ დავინახავთ, რომ ამ სარბიელზე სამი თუ ოთხი ძლიერი სახელმწიფო ერთი ერთმანეთს ეჯახებიან და მოსვენებას არ აძლევენ. თუმცა შინ ერთმანეთს არწმუნებენ მეგობრები ვართო, მარა როცა რომელიმე იმათგანი იმისთანა ქვეყანას შეხელთავს, როგორც, მაგ., ეგვიპტე, ოსმალეთი, და იქ სხვაზე მეტ გავლენას ავრცელებს, მაშინ უნდა უყუროთ თქვენ დანარჩენი სახელმწიფოების ბურჟუაზიის მოთქმა-გოდებას და ჩივილს: აგვიკლეს, დაგვაქციეს, ჩვენ საქონელს გასავალი მოუსპეს! ჩვენ სუსტი მთავრობა გვყავს, თორემ ჩვენ ასეთ დამცირებას ვერავინ ვერ გაბედავდა! არა, ჩვენ ამას ვერ მოვითმენთო. სწორეთ ასეთ სურათს წარმოადგენდა ევროპა გასულ თვის განმავლობაში და მისი ფაცა-ფუციც უმეტესათ ამით აიხსნება.

—

გეცოდინებათ, რომ გერმანიის მთავრობამ ძლიერ სასარგებლოთ გამოიყენა რამდენიმე მისიონერების მოკვლა ჩინეთის სახელმწიფოში: ჩრდილოეთის განაპირაზე მან აირჩია საუკეთესო ნავთსადგური, სახელათ კიო-ჩაუ, და გაგზავნა იქ თავის ჯავშნიანი გემები. ამ ადგილის მახლობლათ მოიპოვება მდიდარი მადნები, რომლის ექსპლოატაცია, ხელშეკრულების ძალით, გერმანიის კაპიტალისტებს ეკუთვნის. ამას გარდა გერმანიის მთავრობას, თუ გერმანიის კაპიტალისტებს განსაკუთრებითი უფლება ეძლევა შეაერთოს ეს პუნკტი რკინის გზებით პეკინთან და სხვა მჭიდროთ დასახლებულ ადგილებთან. ყველა კორესპონდენტების სიტყვით ეს კიო-ჩაუ ყოველი მხრით შესანიშნავი ადგილია, საიდანაც გერმანიას შეუძლია დაუბრკოლებლათ გაავრცელოს თავის გავლენა მთელ ჩინეთზე. იმავე დროს რუსეთის სამხედრო გემებმაც საზამთრო სადგურათ აირჩიეს პორტ-არტური. თუ გერმანიის საქციელმა ბევრი უსიამოვნოთ გააკვირვა, რუსეთზე ასე არ ითქმის. საზოგადოთ ჩინეთ-იაპონიის ომს შემდეგ რუსეთი ძლიერ მეგობრულათ ექცევა ჩინეთს, მას კიდევაც მფარველობს. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ჩინეთში დღეს 400 მილიონზე მეტი ხალხი ცხოვრობს და თავისი ბუნებრივი სიმდიდრით ჩინეთის მიწა-ადგილს პირველი ადგილი უჭირავს მთელ დედამიწაზე, ჩვენ ადვილათ გავიგებთ იმის მიზეზს, თუ რათ ამხედრდა და აღელდა ამ ამბების გამო ინგლისის მსხვილი ბურჟუაზია, რომელსაც საერთაშორისო ალებ-მიცემობაში დიდი ხანია პირველი ადგილი უჭირავს. თითქმის ყველა ფრაქციის და ყველა მიმართულების გაზეთები, მუშათა პარტიის ორგანოებს გარდა, ერთხმათ გაიძახოდენ, რომ გერმანია და რუსეთი ჩვენ ალებ-მიცემობას განადგურებას უქადიანო, ჩინეთს ხელიდან გვტაცებენ და დროა ჩვენი არსებობა იმათ მოვაგონოთო. და მართლაც არ გასულა დიდი ხანი, რომ ინგლისის გემებმა პორტ-არტურში ამოჰყვეს თავი და როცა ამის პასუხი მოთხოვეს, ეს „სრულიად შემთხვევით მოგვივიდაო“—განაცხადეს, მაგრამ გემები მაინც იძულებულნი გახდენ გამოეყვანათ. შემდეგ ინგლისის მთავრობამ ნავთსადგური ტალიენვანის გახსნა მოთხოვა ჩინეთს საერთაშო-

*) იხ. სხვათა შორის „კვალი“ 1898 წ., №№ 1 და 2. წერ. „ევროპა“ 1897 წ.



უმთავრესი ქუჩა ქალაქ ირკუტსკში (ციმბირში).

რისო ალებ-მიცემობისთვის. ჩინეთმა ამაზეც უარი უთხრა ინგლისს, თუმც ინგლისის მთავრობა ჯერ კიდევ გულს არ იტეხს. ასევე გადაუწყვეტელია ჯერ კიდევ ჩინეთის სესხის საქმე. ინგლისმა წინადადება მისცა ჩინეთის მთავრობას 12 მილიონ სტერლინგს ე. ი. 120 მილიონ მანეთს მოგცემ სესხათ საუკეთესო პირობებითო. ჩინეთი ყოყმანობს: არ იცის აილოს თუ არა ინგლისიდან ვალი, რაც მას, თქმა არ უნდა, განსაკუთრებით ინგლისის გავლენას დაუმორჩილებს. ერთი სიტყვით დღეს ჩინეთს უფრო რუსეთის ეშინია, რომელიც, თავად უხტომსკის სიტყვით, ითვლება „მთელი აღმოსავლეთის სულიერ მეთაურათ“.

ასეა თუ ისე, ინგლისის პოლიტიკას ერთი მოსაწონი მხარე მაინც აქვს. იგი თავის განზრახვას მაღალ სიტყვებში, მაცდუნებელ ფრაზებში არ ახვევს, იგი პირდაპირ აცხადებს, რომ ინგლისი იცავს თავის მრეწველობას და ალებ-მიცემობას. 18 იანვარს ბირმინგამში ჩემბერლენმა წარმოთქვა სიტყვა საგარეო პოლიტიკის შესახებ, რომელშიაც მხოლოთ დიდი ბრიტანიის ალებ-მიცემობაზე და მის ინტერესებზე ლაპარაკობდა. იმის წინეთ საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგმა, კერზონმაც, წარმოთქვა სიტყვა და სხვათა შორის განაცხადა: „ჩვენი უფლებანი და ხელ შეკრულებანი ნებას არ გვაძლევენ, რომ ინგლისის ალებ-მიცემობამ მცირედი გავლენა დაკარგოს ჩინეთის ტერიტორიაზეო“. აქედან აიხსნება ის გარემოება, რომ ინგლისის გაზეთებმა ამ უკანასკნელ დროს ნამეტანი მოუხშირეს ომზე ლაპარაკი და თუ თვით ევროპაში ძლიერ ეკრძალებიან და ეშინიათ ომის, ადვილი შესაძლებელია, რომ შორეულ აღმოსავლეთში იმავე ევროპიელმა ყელი გამოჭრან ერთმანეთს.

—

არა ნაკლებ იტეხენ თავს მეორე სნეულ კაცზე—ოსმალეთზე. მოგეხსენებათ, რა საშინელი და თავზარ დამცემი ამბები არ აპატივა ევროპის დიპლომატიამ ამ ავათმყოფს, რომელიც არა ჩინეთზე ნაკლებათ დამდგარია გახრწნის გზაზე. მოიგონეთ სომხების და კრიტელების (ბერძნების) გამოუთქმელი ჟლეტა-წყვეტა დ შარშანდელი ოსმალეთ-საბერძნეთის ომი. არც ერთ იმათგანს ხომ საშველი არ დაადგა. სომხებს ყურადღებას ვინლა აქცევს, როცა კრიტელების ბედიც ისევ გადაუწყვეტელია. მართალია, ქალაღდით მათ მიანიჭეს თვით-მართველობა და საკუთარი გენერალ-გუბერნატორიც დაუნიშნეს, მაგრამ რა? სულთანს გუბერნატორათ ისევ თავის ყურმოჭრილი მონა სურს, რომ მის განკარგულებას ემორჩილებოდეს. და მერე იცით ვინ უჭერს მას ამ საქმეში მხარს? გერმანიის იმპერატორი, ვილჰელმ მეორე! არ გჯერათ? ამას წინეთ რუსეთის მთავრობამ კრიტის გენერალ-გუბერნატორობის კანდიდატათ დაასახელა საბერძნეთის მეფის შვილი გიორგი, რაზედაც თანხმობა განაცხადეს ინგლისმა და საფრანგეთმა. გერმანიის მთავრობამ და მასთან ერთათ ავსტრიამაც უარი თქვეს ამ კანდიდატურაზე იმ მოსაზრებით, რომ რადგანაც ეს კანდიდატურა სულთანის სურვილის წინააღმდეგია, ჩვენი მხრით ძალდატანება იქნებოდა ამაზე თანხმობა განვაცხადოთო. ამნაირათ ევროპის დიპლომატიაში ამ უკანასკნელ დროს განხეთქილება ჩამოვარდა და მით დაიშალა ის „კონცერტი“ (ერთათ მოქმედება) დიდ სახელმწიფოებისა, რაზე-

დაც ასე ყვიროდენ გასულ წელს. ვნახოთ ახლა რას აკეთებს გერმანია თავის სახლში.

—

გასული თვის განმავლობაში გერმანია, განსაკუთრებით პრუსია, სამი რეაქციონული პროექტის მოწამე იყო. 8 იანვარს პრუსიის პალატაში კანცლერმა თ. გოგენლოემ წაიკითხა მოხსენება ახალი ასი მილიონის გადადებაზე პოლონიის პროვინციების (პოზნანი) გასაგერმანიელებლათ. კანცლერის აზრით ხსენებულ პროვინციებში ნაკლებია მესაკუთრე გლეხი დ მემამულეებიც მუშებს ვერ შოულობენ, ამიტომ ჩავასახლოთ იქ გერმანელი გლეხებიო! მაგრამ ამას პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს: პოლონელები, მიუხედავათ თავად ბისმარკის ზომებისა, კიდევ არ არიან გულით გერმანელები, ისინი კიდევ თავის Rheczpospolita-ზე ჰფიქრობენ; ამიტომ იმათი გაგერმანიელება საჭირო და ამისთვის სახელმწიფომ არაფერი არ უნდა დაიშუროსო: გერმანელ გლეხებს ვუყიდოთ იქ მიწები და ჩავასახლოთო. საზოგადოთ ამ მოხსენებამ საერთო ზიზღი გამოიწვია დეპუტატებში, არა მარტო პოლონელებში, არამედ გერმანელებშიაც. ყველა გონიერ გერმანელისთვის ცხადია, რომ ასეთი ზომა სულ სხვას მოიტანს. ამავე დროს პრუსიის სახალხო განათლების სამინისტრომ გაილაშქრა უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტების წინააღმდეგ: ეს უკანასკნელი აქამდის თავისუფლათ კითხულობდენ ლექციებს, სამინისტრო ცენზურა მათ არ ეხებოდა; მაგრამ ახლა სახალხო განათლების მინისტრმა ახალი პროექტი შეადგინა ვითომ დ პრივატ-დოცენტების ასალაგმავათ: იმათი ლექციები წაკითხვამდის სამინისტრო ცენზურამ უნდა გაშინჯოსო. ამის წინააღმდეგ პროტესტი განაცხადეს გერმანიის საუკეთესო პროფესორებმა, რომ ასეთი ზომა შელახვა იქნება არა მარტო პრივატ-დოცენტებისა, არამედ მეცნიერებისაო.—სამაგიეროთ პრუსიის მთავრობა თავის დიდ მემამულეებს წყალობს უფრო. ამ ნახევარი თვის წინეთ პრუსიის პალატაში აგრარიების მეთაურმა გრაფმა ლიმბურგმა კატეგორიულათ განაცხადა, რომ რადგანაც მთავრობა პატივს არა სცემს და დახმარებას არ უჩენს აგრარიებს, ამიტომ ნურც ჩვენგან მოელით შემწეობასო. ამ სიტყვებზე ბარონმა ჰამმერშტეინმა, მთავრობის სახელით, უპასუხა აგრარიების მეთაურს, რომ შემდეგში სავაჭრო კანტრაქტების შეკვრის დროს მთავრობა უსათუოთ იქონიებს მხედველობაში „ჩვენი მეურნეობის ინტერესებსაცო“. მაშინ კი აგრარიებმა მოთხოვეს ისეთივე ბაჟის დაწესება პურზე, როგორიც საფრანგეთში არსებობს. ამ ნაირათ გერმანიის მთავრობა დიდ მემამულეთა სასარგებლოთ აძვირებს პურის ფასს. ყველა ამასთან ძლიერ საყურადღებოა ამას წინეთ ბადენის პალატაში მომხდარი შემთხვევა. დემოკრატებმა წინადადება შეიტანეს პალატაში სასკოლო წიგნების გადაშინჯვის თაობაზე. სხვათა შორის წინადადებაში ნათქვამი იყო, რომ სიტყვები „მემკვიდრეობითი მტერი“ ამოშლილ იქმნას სახელმძღვანელოებიდან და ამასთანავე ომის და გმირულ ამბავთა აწერა მეორე ხარისხზე იქნან დაყენებულიო. ამ წინადადებას მიემხრენ კლერიკალებიც. ნაციონალ-ლიბერალებმა და კონსერვატორებმა კი ამის შესახებ ატეხეს ერთი ალიაქოთი: ღალატი, ღალატიო, ყვიროდენ. წინადადება მაინც გავიდა ერთი ხმის უმეტესობით.

—

მაგრამ თუ დღეს ევროპის რომელსამე სახელმწიფოში არეულ-დარეული და აწეწილია საქმეები, ეს ყველაზე უფრო ავსტრიაშია. ყველაზე უფრო გამწვავებული აქ ნაციონალური კითხვაა. ნაციონალურმა განხეთქილებამ დასცა გასული წლის ბოლოს ბადენის სამინისტრო; ამის გამო ავსტრიის იმპერატორმა გადადვა პარლამენტის სხდომები და ახალი არჩევნები დანიშნა, რაც გაზაფხულზე მოხდება. ჯერ-ჯერობით კი გაუჩის სამინისტრო შეუდგა წესრიგის დამყარებას; შეადგინა რაღაც პროექტი, რომლის საშუალებით ცდილობს ორი აშლილი ერი: ნემცები და ჩეხები ერთი ერთმანეთს შეარიგოს. მაგრამ ეს პროექტი მიზანს ვერ მიაღწევს, ვინაიდან იმის ძალით ჩეხია სამ ნაწილათ უნდა დაიყოს, რაზედაც ჩეხები არას დროს არ დათანხმდებიან. თავის მხრით ნემცებიც არაფერს არ უთმობენ სლავიანებს. იანვრის განმავლობაში ადგილობრივი სეიმების კრებები იყო, რომლებსაც პარლამენტის დათხოვნის შემდევ მოედვა ეს ეროვნული ბრძოლა. ნემცების წარმომადგენელები თხოულობენ დაუყოვნებლივ ბადენის განკარგულების გაუქმებას ენების შესახებ; ჩეხიის წარმომადგენელები კი პირიქით იცავენ ჩეხური ენის უფლებას ჩეხიის საზღვრებში. ეს ეროვნული ბრძოლა გადადის აგრეთვე სტუდენტობაშიაც და სტუდენტები ნემცები არა ნაკლებ დევნიან თავის სლავიანელ ტოლ-ამხანაგებს. ამ ჟამათ ჩეხელებმა თავისი აგიტაცია ჩეხიიდან ვენაშიაც გადაიტანეს, სადაც მრავალი ჩეხელი მუშა-ხალხია. ესენი ითხოვენ საკუთარ სკოლას ჩეხურ ენაზე.

—

არა ნაკლებათ აფორიაქებულია დღეს საფრანგეთიც დრეიფუს-ესტერგაზის პროცესის გამო. ჩვენ ვიცით ამ საქმის ისტორია, (იხ. „კვალში“ წერილი პარიჟიდან), ვიცით აგრეთვე ისიც, რომ ამ კაცის გასამართლება დაფუძნებული იყო რაღაც საიდუმლო დოკუმენტებზე, რომლებიც მთავრობას არ უნდოდა

გამოქვეყნებია. ბოლოს, როგორც იციით, ამ საქმეში სიმართლის აღსადგენათ ჩაერია ცნობილი მწერალი ემილ ზოლა, რომელმაც სამართალში გამოიწვია საფრანგეთის წარჩინებული გენერლები და სხვა მაღალ-ხარისხოვანი პირები. საფრანგეთის კანონმდებლობის ძალით თვით ზოლაც ცნობილ იქნა დამნაშავეთ და მიცემულია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში. არჩეული 40 ნაფიცთა მსაჯულნი, რომელთა შორის 23 ვაჭარია, 2 სახლის პატრონი, 2 ხუროთ-მოძღვარი, 1 სტამბის პატრონი, 1 ინჟენერი და სხ. ამათ უკვე დაიწყეს ზოლას საქმის გარჩევა. ზოლას თანაგრძნობას უცხადებენ უცხოეთის ნასწავლი ხალხი და მწერლები. საქმე ჯერ არ დაბოლოვებულა. *)

—

ყველაზე უფრო ნაკლებს დღეს იტალიაზე ლაპარაკობენ. ასე გგონია არც კი არსებობს ეს „შვენიერი იტალია“ და მართლაც აბესინიის მიერ დამარცხებას შემდეგ იტალია ისე აღარ ყოყოჩობს ხოლმე, როგორც წინეთ. და ან კი რა აქვს საამისო, როცა მისი მკვიდრნი შიმშილისაგან იხოცებიან. დღე არ გავა, რომ იტალიიდან ამბავი არ მოვიდეს ახალ არეულობაზე. დამშეული ხალხი იკრიბება, ტეხს პურის საწყობებს და ითვისებს ფქვილს. ასეთი ამბავი ახალი არ არის იტალიაში. 1893 წელს სიცილიაში და ლუნიჯანაში ასეთივე არეულობა მოხდა, წელს კი თითქმის იტალიის ყველა კუთხეში განმეორდა არეულობა. ამის მიზეზია პურის სიძვირე და სამუშაოს უქონელობა. დიდი სადამოჟნო ბაჟის წყალობით მსხვილი მემამულენი და ვაჭრები დიდ ძალ ფულს იგებენ პურზე, მაგრამ მუშა ხალხი კი მუდამ მშიერი რჩება. როგორც ჩანს ამ უკანასკნელ ამბებს შემდეგ მთავრობას შეუმცირებია სადამოჟნო გადასახადი; მაგრამ ხაზინა ამის გამო მეორე გაჭირვებაში ვარდება, ვინაიდან ასეთი ზომა მას 15 მილ. ფრანკის დეფიციტს აძლევს.

## ყარსის რკინის გზიდან.

### I.

კავკასიაში რკინის გზების რიცხვი ამ ბოლო დროს თვალსაჩინოთ მატულობს: ზოგან რკინის გზა უკვე გაიყვანეს, ზოგან ამ ჟამათ გაჰყავთ და მრავალგან კიდევ განზრახვა აქვთ გაიყვანონ. ერთი სიტყვით თანდათან უფრო-და-უფრო აუცილებელი ჰხდება რომ ყოველ მხრიდან ადვილ მისადგომი შეიქნეს კავკასია. ამ ფრიად საყურადღებო მოვლენის მიზეზი არ არის ძნელი ასახსნელი. კაპიტალი დღეს ქვეყნის აღარც ერთი კუნჭულის ბუნებრივ სიმდიდრეს აღარ ტოვებს დაუსაკუთრებლათ, გამოუყენებლათ, და ბუნებით ისეთ მდიდარ ქვეყანას, როგორც კავკასიაა, ხომ ყოველთვის განსაკუთრებული ძალით ეტანება. ხოლო რადგანაც ყოველი ბუნებრივი სიმდიდრის დასაპატრონებლათ, ისე როგორც რომელიმე ქვეყნის დასაპყრობათ, უპირველეს და უსაჭიროეს საშვალებას ადვილი მისადგომი გზა შეადგენს, ამიტომაც ასე გულმოდგინეთ ცდილობს დღეს კაპიტალი რკინის გზებით მოჰფინოს ჩვენი ქვეყანა. მაგრამ მარტო ადგილობრივი ბუნებრივი სიმდიდრის დასაკუთრება არ შეადგენს ერთათ ერთ მიზანს კაპიტალისაგან გზების გავრცელებისას. გზებისავე შემწეობით კაპიტალი იფართოებს ბაზარს თავის ნაწარმოებთა გასასაღებლათ. კავკასია კი ამ მხრითაც დიდ იმედებს პირდება კაპიტალს. აქ მრავალგან ჯერ კიდევ ნატურალური წარმოება მეფობს და კაპიტალისტურ ნაწარმოებს კი ჯერ გზა ნაკლებათ აქვს გახსნილი. მაგრამ საკმარისია რკინის გზების შემწეობით კაპიტალმა თავისი ნაწარმოები შეაპაროს ამ ადგილებში, რომ ნატურალურმა ნაწარმოებმა სწრაფათ დაუთმოს მას თავისი ადგილი და რომ მანაც, კაპიტალმაც, სწრაფათვე დაისაკუთროს ადგილობრივი ბაზარი.

ამ ნაირათ, რკინის გზების გავრცელებით კაპიტალი ჩვენში, ისე როგორც ყველგან, აღწევს ორ გვარ მიზანს: ერთი მხრით, ადგილობრივი ბუნებრივი სიმდიდრის, ე. ი. დაუმუშავებელ მასალის გაზიდვას; მეორე მხრით კი, თავისი ნაწარმოების, ე. ი. დამუშავებულ საქონლის, შემოზიდვას და გასაღებას. ასეთია საზოგადოთ უმთავრესი მიზანი და დანიშნულება რკინის გზებისა.

მაგრამ რკინის გზების მნიშვნელობა კაცობრიობის ცხოვრებაში მარტო ამით არ განისაზღვრება. მათი გავრცელების შედეგი ფრიად რთული და მრავალფეროვანია. მათ ძირეული ცვლილება შეაქვთ მკვიდრთა ცხოვრებაში. ეს აი როგორ ჰხდება. საქონლის შემოზიდვა-გაზიდვისათვის აუცილებლათ საჭიროა კერძო პირთა თაოსნობა და მოქმედება, ამის გამო მრავლდებიან სხვადასხვა გვარი მწარმოებლები, ვაჭრები და სხვ... ერთი სიტყვით, იბადება და ვითარდება ვაჭრობა-აღებ-მიცემობა და მრეწველობა. ამით საზოგადოების ცხოვრებაში ფეხს იკიდებს და მყარდება კაპიტალისტური წესწყობილება. ამ ხანაში კი სწრაფათ ისპობა ქვეყნის სხვადასხვა

*) უკანასკნელი ტელეგრამიდან ვტყობილობთ: ზოლას მიუსაჯეს ერთი წლის ციხე და 3,000 ფრანკი ჯარიმა.

კუთხის კარჩაკეტილობა-განკერძოება, მცხოვრებნი ერთმანეთს უახლოვდებიან და მათ შორის მჭიდრო ურთიერთობა მყარდება. ამის გამო მათ ეფანტებათ ვიწრო ტრადიციები, უფართოვდებათ მსოფლიო მხედველობა, ეზრდებათ სულიერი მოთხოვნილებანი დ̃ სხვა... ერთი სიტყვით, საბოლოოთ ირღვევა პატრიარქალური ცხოვრება, ხალხი მოქალაქეობის გზაზე გამოდის, ევროპიელდება და ცივილიზაციის შუქით იმოსება.

ამ გვარათ უწყობენ ხელს რკინის გზები კაპიტალიზმის გამეფებას, ასეთი დიადი კულტურული მნიშვნელობა აქვთ მათ ადამიანთა ცხოვრებაში, და სწორეთ ასეთივე თვალით უნდა ვუცქერდეთ კავკასიაში რკინის გზების გავრცელებას.

განსაკუთრებით საყურადღებო ამ მხრით დღეს ჩვენში ყარსის რკინის გზა გახლავთ, რომელსაც ამ ჟამათ აშენებენ და რომელმაც გამოიწვია ეს ჩვენი ფიქრები და შენიშვნები. ამ გზის გასაყვანათ გადადებულია ოცი მილიონი. აი ამ ოცმა მილიონმა უნდა გაუკვლიოს კაპიტალს გზა ყარსის ოლქის ბუნებრივი სიმდიდრისაკენ. აი ამ ოცმა მილიონმა ძირეულათ უნდა შეცვალოს სამხრეთ კავკასიელთა ჯერ თითქმის ისევ პატრიარქალური ცხოვრება, გამოიყვანოს ისიც კაპიტალიზმის გზაზე და ამ მხრით ახლო მომავალში ისიც გვერდით ამოუყენოს დანარჩენი კავკასიის ცხოვრებას.

ყარსის რკინის გზა ჯერ მხოლოთ **90**-ოდე ვერსზეა გაყვანილი; გარდა ამისა სამგზავრო და საქონლის საზიდავ მატარებელთა მიმოსვლაც ჯერ არ არის დაწესებული; მაშასადამე, ჯერ არავითარი საფუძველი არა გვაქვს რაიმე თვალსაჩინო ცვლილება ვეძიოთ ადგილობრივ მკვიდრთა ცხოვრებაში. მიუხედავათ ამისა, ჩვენ თამამათ შეგვიძლია ვთქვათ, რომ პირველმა ნიშნებმა კაპიტალიზმის დაბადებისამ აქეთ ახლავე იჩინეს თავი. აქა-იქ, განსაკუთრებით იქ, სადაც დანიშნულია მატარებელთა შეჩერება, ჯერ, სანამ სადგურებს ააშენებდენ, მათ მაგივრათ დუქნები წამოასკუპეს და იქ, სადაც ამას წინეთ ადამიანიც იშვიათათ გაიჭაჭანებდა, დღეს ვაჭრობა გააჩაღეს. რკინის გზამ ახლავე ბლომათ მიიზიდა და შემოიკრიბა თავის გარშემო მოვაჭრე ხალხი და, ვინ იცის, რა ბრწყინვალე მომავალს დაჰპირდა მათ. და იგი დაუფასებელ კეთილის მყოფელათ მოევლინა არა მარტო ამ ახლათ გამოჩეკილ ვაჭრებს, არამედ იმ ძველ მედუქნეებსაც, რომლებიც ახლო-მახლო დაბა-სოფლებში ვაჭრობენ. დღეს თუ მრავალი ამათგანი წელიწადში ერთხელ ან ორჯელ ძლივს ახერხებს ქალაქში ჩასვლას საქონლის მოსატანათ, რის გამოც მათ დუქნებში ძალიან იშვიათათ მოიძებნება ახალი და წაუმხდარი საქონელი, სამაგიეროთ ხვალ თუ ზეგ, რკინის გზის შემწეობით, მათ თითქმის ყოველ კვირაში რამდენჯერმე შეეძლებათ ჩაისეირნონ ქალაქისაკენ და თავის დუქნებში მუდამ ახალ-ახალი საქონელი იქონიონ. ამასთანავე, რადგანაც საქონლის მოტანა ბევრათ უფრო იაფათ დაუჯდებათ, ამის გამო მისი გაყიდვაც ბევრათ უფრო იაფ ფასათ შეეძლებათ. ყოველივე ეს კი — საქონლის სიკეთე-სიიაფე — ერთი-ათათ გაუმრავლებს მათ მუშტრებს და ლიპებსაც უთუოთ ერთი-ათათ გაუსუქებს.

სულ სხვა შთაბეჭდილება მოახდინა ახალმა რკინის გზამ ადგილობრივ გლეხებზე. ამათ მან ახლავე რაღაც ცუდი წინასწარგრძნობები აუშალა და მომავლის შესახებ მწარე ფიქრებში ჩააგდო. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, მათ ისიც ეყოფათ სადარდელათ და თავში საცემათ, რომ ხვალ თუ ზეგ მათ ხარ-ურემა, ცხენებს, აქლემებს დ̃ სხ... სრულიად დაეკარგებათ ფასი და გასავალი, რადგანაც მათ უმთავრეს დანიშნულებას, სახელდობრ, საქონლის გადაზიდვას, მათზე ბევრათ უკეთესათ ხვალ რკინის გზა აასრულებს.

ასე დ̃ ამ ნაირათ, ჩვენ ვხედავთ, რომ ყარსის რკინის გზამ გაამხიარულა ვაჭარი, გლეხი კი დაალონა. ეს მოვლენა კი გახლავთ პირველი ნიშანი ახალი ცვლილებისა.

ასე გაშინჯეთ, ეს გზა, დღესაც კი როცა მხოლოთ შენდება, აუარებელ ფულს ახვეტინებს ვაჭარს, თუმცა სამუშაოთ თითსაც არ ანძრევინებს მას: დაუბრძანებია იგი დუქანში და თავის მომუშავე ხალხს არხეინათ აკრეჭინებს, ადგილობრივ გლეხს კი ამავე დროს ჭაპანწყვეტით ამუშავებს და გასამრჯელოთ რაღაც ორიოდე გროშით აკმაყოფილებს. ასეთი გასამრჯელო კი იმდენათ უმნიშვნელოა ადგილობრივი გლეხისთვის, რომ იგი უმეტეს შემთხვევაში სრულიად უარჰყოფს რკინის გზაზე მუშაობას. ამას აშკარათ მოწმობს ის, რომ აქაურ მუშებს შორის შედარებით ძალიან ნაკლებათ შეხვდებით ადგილობრივ მკვიდრთ. ეს ფაქტი არ არის ძნელი ასახსნელი. აქაური სამუშაო ქირა, რომელსაც ადვილათ დაჯერდება ყოველათ ლატაკი მუშა, აგრე ადვილათ ვერ შეახარბებს თავს ადგილობრივ გლეხს, რომელსაც ჯერ კიდევ ბლომათ აქვს საკუთრება.

ვალენტინი.

## რა მოუვა სოსიკას.

(მოთხრობა ქართლის ცხოვრებიდან)

### VI

სოსიკა იყო მარტო ხელა გლეხი სოლომონას შვილი. ჩვიდმეტი წლის რომ შეიქნა, სოსიკამ კარგათ იცოდა გლეხკაცური ყველანაირი მუშაობა, აგრეთვე იცოდა კარგი სიმღერა და ხუმრობა, რის გამოც ძრიელ უყვარდა თავის ტოლ-ამხანაგებს. მოულოდნელათ მოუკვდა მამა სოსიკას და დარჩა ობლათ. სოსიკა ხშირათ დადიოდა სამუშაოთ ბათომში; ბევრი მაჭანკლები აუჩნდენ მის დედას, მართას, „სოსიკო დააქორწილე“-ო მარა სოსიკო არა ჩქარობდა. ბოლოს ერთ შემოდგომაზე, ბევრ რჩევას შემდეგ, დაიყოლია დედამ სოსიკა და დააქორწილა ტასიაზე: ტასია იყო ობლობაში გამოზდილი ბიძასთან; ბიძამ, მინდვრის მიწები, რაც ერგებოდა ტასიას, სოსიკოს მისცა მზითვათ და ერთი ხელი ლოგინიც გაატანა. ქორწილს შემდეგ აღარ წასულა სამუშაოთ სოსიკო; დაქორწილდა თუ არა, პირველათ ყურადღება მიაქცია მამისაგან დატოვებულ ძველ დარბაზს: გატიხრა ალიზით ორათ, ერთში საქონელი დააბა და მეორეში დაიწყეს სამივემ ცხოვრება. დაიყივლებდა თუ არა მამალი, ადგებოდა სოსიკა ლოგინიდან, აანთებდა კრიუჭკას, შევიდოდა საქონელთან, დაუგვიდა, დაუხვეტდა, დაუყრიდა ბზეს, მერე აიკიდებდა გოდორს, ჩაიგდებდა შიგ ცულს და გასწევდა მტკვრის პირისაკენ. მტკვრის ნაპირას მოჩიჩხვრავდა ნარიყს, გაავსებდა გოდორს და მოიტანდა სახლში; სახლში დედა და ცოლი დაახვედრებდენ სადილათ რაიმე შექამადს, დასხდებოდენ სამივენი და გემრიელათ ჭამდენ სადილს. ასე მიდიოდა სოსიკას ცხოვრება რამდენსამე ხანს. ერთ დროს ატყდა ხანგრძლივი წვიმები და არც ერთი სახლი არ დარჩა ისე, რომ წვიმა არ ჩასვლოდეს. შუა ღამე მოტანებული იქნებოდა, ტკბილათ ეძინათ სოსიკას და მის ოჯახს მამა-პაპურ დარბაზში; უეცრათ ჩამოწვა ჭერი და დაეცა მართას ლოგინს: „ვაიმე,. ვაი.. ვაი.,. მიშველე.. შვილო მიშველე“! იძახდა შეწუხებული მართა; ამ ყვირილზე წამოხტა ლოგინიდან სოსიკო, აანთო კრიუჭკა და რა დაინახა მიწასა და დამპალ ჭერ ქვეშ დედა, გაექანა მისკენ, სწრაფათ გადაჰყარა აქეთ-იქით ჭერი, ქვიანი მიწა, მოჰკიდა დედას ხელი და მაღლა ასწია. ამ ხმაურობაზე ტასიასაც გაეღვიძა და რაკი გაიგო, რაშიაც იყო საქმე, შეშინებულმა და ფერ წასულმა გადიცვა კაბა და წამოდგა ზეზე. მალე ტასიამ და სოსიკამ გამოუცვალეს მართას ადგილი, რბილათ დაუგეს ლოგინი, დააწვინეს ზედ და მოუსხდენ გვერდით.

— ვაიმე, შვილებო! ნეტა თქვენი ცქერით გავმაძღარიყავი და ისე მოვმკვდარიყავი...

— ნუ გეშინია დედი, კარგა იქნები—ეუბნებოდა გულ აჩუყებული ტასია და თან ცრემლებით ევსებოდა თვალები.

— არა, შვილო, წელი მომწყდა, ველარ ვიცოცხლებ... ეჰ, რა დავაშავე! რა ცოდვა მქონდა!.. რომ ვკვდები, უზიარებელი!... ნეტა ღვდელი აქ მაინც იყვეს.. იძახდა მართა სუსტი ხმით.

ამ სიტყვებზე ტასიამ თავი ველარ შეიმაგრა, მიეფარა ბოძს და დაიწყო ჩუმათ ტირილი.—სოსიკასაც თუმცა ეტირებოდა, მაგრამ თავს იმაგრებდა და უიმედოთ შეჰყურებდა დედას.

— ვაი - მ—ე—ჰ—გა—მი—ცი—ვდა წელ—ი, ამოიკვნესა მართამ, შემდეგ მოიკრიფა ძალა და წამოიძახა.

— შვილებო!. მოდით, თითო მაინც გაკოცოთ... სამუდამოთ გამოგემშვიდობოთ!...

სოსიკა თვალცრემლიანი მოეხვია დედას, რომელიც სუსტი ხმით და კვნესით ეთხოვებოდა შვილს —მშვიდობით შვილო!... მშვიდობითო..., სოსიკა დიდხანს ჩაჰქვითინებდა დედას და იქნება დიდხანაც ყოფილიყვნენ დედა და შვილი ასე, რომ ცოლს ხმა მაღალი ტირილით არ წამოეყენებია სოსიკა ზეზე. გათენებამდის უგრძნობლათ იდვა ლოგინში მართა გათენებისას კი სამუდამოთ დახუჭა თვალები....

სოსიკას ტირილს უერთდებოდა ტასიას ტირილიც. მეზობლები მალე შემოეხვივნენ მწუხარე ცოლ ქმარს და ვინ იცის, ვინ რას არ ამბობდა; ზოგი ამბობდა: მეხი დაცემია და ჭერი ჩაუმტვრევიაო, ზოგი ამბობდა: ეშმაკი თავს დაწოლიაო და სხ..

### VII

დედის სიკვდილს შემდეგ ტასიასა და სოსიკას ძველ დარბაზში გული აღარ უდგებოდათ. მოვიდა თუ არა გაზაფხული, ჩათხარა სოსიკამ პატარა ნაფუზრის ბოლოზე გძლათ მიწა, დააყოლა ბუხარი, დაანგრია ძველი დარბაზი, გადაარჩია და რაც სალი ჭერი იყო დააფარა ახლათ ჩათხრილ სახლს, დააყარა მიწა, რომელსაც დაატანა სანათური. ნახევარი სადგომი საქონლისთვის გამართეს და ნახევარი თავისთვის მოაწყვეს.

ამ გვარათ დაიწყეს ახალ ბინაზე ცხოვრება და მხნეთ მუშაობა: სოსიკო მონარჩენი ჭირნახულით ისტუმრებდა ყველა გადასახადებს: ღვდლისას, ფოშტის ფულს, მწერლისას, სკოლისას და სხ.

ახალ სახლს უკან ტასიამ დააბარვინა სოსი-

კას ნაფუზრის ბოლო და იმ მიგ პატარა ბოსტანი გამართა; აგრეთვე აშენებდა სახლში წვრილ-ფეხობას: ბატს, ქათამს და ინდოურს.

ერთ წელს შემდეგ ქორწილისა, სოსიკოს და ტასიას მიეცათ ვაჟი, რომელსაც დაარქვეს ილიკო; ილიკოს შემდეგ მიეცათ ქალი, რომელსაც, ღამე აკვანში კატა დაწოლოდა და დაეხრჩო; ქალს შემდეგ ეყოლათ შაქრო. ამ გვარათ დაწვრილშვილდა სოსიკა, რომელსაც ბოლოს დიდი ხარჯებიც დაატყდა თავზე დედის დამარხვაზე, ქორწილზე და შვილების დანათვლაზე; ყველა ამ ხარჯებს წაემატა მუდამი წლის გადასახადი: ღვდლის დრამა, ფოშტის ფული, მწერლისა, სკოლისა და სხ. რადგანაც იმან ვერ შეუძლო ამ ხარჯებს, რაც ცოლის მზითევათ სახნავი მიწები ჰქონდა აღებული დააგირავა და იქიდან შემოსავალი სხვებს მიჰქონდათ; დარჩა სოსიკას მხოლოთ უღელი ხარი, ერთი ძროხა, ერთი კვებულა, სამი დღის მანდერის მიწა და ნახევარი დღის ნაფუზარი, რომლის ბოლოზეც მას ედგა სახლი.

აი, ამ დროს მოვიდა სოფ. ბლუეთში დარჩენილი ფულის (ნედოიმკის) მოსაკრეფათ ეგზეკუცია. ამ ფულიდან სოსიკასაც შეახვედრეს ორი თუმანი; სოსიკამ მალე ვერ იშოვა ფული და ამისთვის აქონელი ბოსლიდან გამოუყვანეს და გაჰყიდეს [illegible], რომ აბრამისაგან არ ესესხნა ორი თუმანი.

ხშირათ მიადგებოდა ხოლმე სოსიკოს კარებზე აბრამი და თხოვდა ფულს, მაგრამ სოსიკო ეხვეწებოდა კალოობამდის უნდა დამაცადოთო.

### VIII

სოსიკომ გამოიხსნა დანარბევი ხარები, მაგრამ სიცივეში გარეთ გდებისაგან ისე დასუსტებულიყვნენ, რომ მომავალ გაზაფხულზე ჯაფა ველარ აიტანეს და დაიხოცნენ. რაც ყანა ჰქონდა სოსიკას, მომკო იმ ზაფხულს, გაალეწვინა სხვას საზვევეთ; იქიდან ექვსი კოდი პური მიუწყო აბრამს ფულის სარგებელში, თანაც შეეხვეწა: მანამდის ფულს გიშოვიდე—თავნი ჩემთან იყვეს და, რაც ხანი ჩემთან დარჩება, იმის სარგებელსაც მოგართმევო.

აბრამმაც სულგრძელობით დაალოდა. სოსიკას დარჩა თავის ყანიდან ოთხი კოდი პური, ამ ოთხი კოდიდან ღვდელს მისცა დრამაში კოდ ნახევარი და თითონ დარჩა ორ კოდ ნახევარი, რომელიც თესლათაც არ ეყო. ყანას გარდა სოსიკას ჰქონდა დღე ნახევრის სიმინდი; შემოდგომაზე ამ სიმინდიდან გაისტუმრა ვეველები და მენახირეები. როდესაც მიისაქმმოსაქმიანა და ის იყო ზამთრის პირას აპირებდა სამუშაოთ ზემოში წასვლას, გაიწერა სოფელ ბლუეთში ფოშტის ფული და სოსიკასაც შეახვედრეს კიდევ ცამეტი მანათი. ამ ცამეტმა მანათმა ისე დააფიქრა და შეაწუხა სოსიკაც და ტასიაც, რომ არ იცოდნენ, რა ექნათ; ბევრი ეცადა სოსიკა, ბევრი იარა აქეთ იქით, ეგება მავალოს ვინმეო—მაგრამ ფული ვერსად იშოვა; ამისათვის ყვირილითა და ლანძღვით მიიჰრა ჩაფრებით მამასახლისი სოსიკას სახლში, შევიდა შინ, აუშვა დეკეული, მოაბა რქებზე თოკი და წაიყვანა..

ამ დროს ბუხართან მუნჯივით იჯდა [illegible] სული სოსიკა, ტასია კი გაანჩხლებული და [illegible]ზებული ხან ჩაფრებს სწყევლიდა და ხან [illegible]ლისს.

სოსიკას თუმცა დაენანა მაკე დეკეული, [illegible] რაკი ფოშტის ფულში წაიყვანეს, რაღაცა სიამოვნე[illegible] იგრძნო: ეს ერთი ჭირიც მოვიშორეთ—თქვენ გაუმარჯობაშ.

(შემდეგი იქნება)

---

## ამ ნომერში ნახმარი საჭირო უცხო სიტყვების ახსნა

დეფიციტი—გასავლის უმეტესობა შემოსავალზე; დილეტანტი—საქმის ზერელე მცოდნე; კლერიკალი—ეკლესიური ინტერესის დამცველი; კორპორატიული ამხ[illegible]ი, ამხანაგური; პრივატ-დოცენტი—პროფესორის თანაშემწე; სანკცია—დამტკიცება; ტერიტორია—მიწა წყალი; ფრაკცია—პარტიის ჯგუფი.

---


ქართული თეატრი.

კვირას, 15 თებერვალს 1898 წ.

უკანასკნელი წარმოდგენა

**სამშობლო**

დრამა 5 მოქ. და 7 სურათად თავ. დ ერისთავისა

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზე

რეჟისორი გ. მესხი.


რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

Доз. ценз. Тифлисъ, 13 Февраля 1898 г. Тип. М. Д. Ротиніанца — სტამბ. [illegible] როტინიანცისა Гол. пр. д., № 41.